

F 343
1995



ქმარული უნდა სწავლობდეს
საცნობლად თვისადლო:

ვის არის, სიღამ მოსულა,
სად არის, წავა სადღა?

ბადაპარჩინოთ უპრნალი „დილა“



აპასაც მომსწარიო!

ჩვენი ბავშვებს „დილა“ დაეუნურეთ.

წიგნების გამოცემა ხომ კარგა ხანია შეწყვეტილი.

ველაზე უფრო მაინც მშობლებიხა შაიცებს, რატომ განგაშს არ ტყხენ, რატომ სდუმან, ნუთუ აღარ აინტერესებთ საკუთარი შვილების ბედი?

რა კენა, დაეუნვოთ იმის ახსნა, ჟანგბადივით როგორ სჭირდება ბავშვებს ლიტერატურა და მხატვრობა?!

ვევლამ ერთად უნდა ვიღონოთ რაღაც, ყველამ, მოაერობამაც და საზოგადოებამაც. ეტობა, სხვანიარად არაუფრო გამოვა...

ბარან ფანჯიმიძე

ცხოვრება „დილიდან“ იწყება...

უციოდრეს გასაჭირშია ჩაყარდნილი მთელი ქართული კულტურა, მაგრამ კულტურა მრავალწახნაგა მოედენაა, და როცა მის ხსნაზე ვლაპარაკობთ, უნდა იხიკ ეთქვით, მაინც საიდან უნდა დაეუნვოთ ეს ხსნა, რა უნდა გადაეარჩინოთ პირველად და რა - ბოლოს! მტერს და აეს, სახლი რომ გეწოდეს, ჯერ საძინებელ გარნიტურსა და „ტრულაჲს“ ხომ არ დაუნვებ ჯაჯგურს - ჯერ ბავშვს დასტატებ ზელს, უპირველესად შენს პატარას გამოიფიან ცეცხლიდან! და როცა სიცოცხლეხა და მომავალს გადაარჩენ, მხოლოდ ამის შერე მხოდეც სკამსა და სარკეს!

უცნაურია პირდაპირ - ცეცხლში მოხედრილებს, რატომ დაგვაიწუნდა ბავშვი - როგორ დაგვაიწუნდა „დილა“ - ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების უსაყვარლესი ჟურნალი, მეგობარი, მასწავლებელი, მრჩეველი... ორი წელია, არ გამოხუდა იგი, და არავინ კითხულობს, რა იქნა, სად გაქრა, რატომ, ვისი მიზეზით, თითქოს ჩვენი ბავშვებიც და მათი ჟურნალიც რომელიმე კონკრეტულ უწყებას ეკუთვნოდეს და არა ერთობლივ საქართველოს, მთელ ქვეყნას, ყოველ ჩვენგანს!..

დრო ისედაც ბევრია დაკარგული, ახლა უნაყოფო კამათის დრო არ არის, როგორც ჩანს, უნდა რაღაც ვიღონოთ, თანაც - ყველამ ერთად! ეუშველით „დილას“ - ცხოვრება, როგორც ცნობილია, დილიდან იწყება!

მდიდარო, ჭკვიანო, ღირსეული ადამიანებო! მივიცი ფული თქვენს საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს! გააცოცხლეთ, ფეხზე დააყენეთ მათი ჟურნალი!

მინდა გაეიძირო: ცხოვრება დილიდან იწყება...

ტარიელ ჭანტურიას

რედაქტორის მიხანაწერი

ეს პუბლიკაციები ამ ცოტა ხნის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. შეიძლება გადაუჭრებლად ითქვას, რომ ქართველი მწერლების გაზეთმა კიდევ ერთ სახალხო მოძრაობას - ჟურნალ „დილის“ გადარჩენის მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი.

და აი, შედეგიც - მკვდრებით აღმდგარი ჟურნალის პირველი ნომერი თქვენს ხელთაა!

მადლობა ყველას, ვინაც ქვეყნას ერთადერთი საუმაწვილო სალიტერატურო ჟურნალი გადაუარჩინა, მაგრამ აქვე მინდა გულისტკივლით აღვნიშნო, რომ ამ მოწოდების საპასუხოდ ქვეყნა ფეხზე არ დამდგარა. მას ჯერჯერობით, მხოლოდ ჩემი ახლობლები გამოეხმარნენ და ეს მცირედი საწუქარი - „დილის“ პირველი ნომერი - მათი მორთმეულია.

მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რადგან ყოველი კეთილშობილური საქციელი გადამდებია, ამ შემთხვევაშიც ასე იქნება და ხელ მაღლ მათ საქციელს სხვებაც მიბამაჯენ, და, როცა „დილის“ გადარჩენის საქითხი საქვეწო საქმედ იქცევა, სწორედ მაშინ ეშველება თქვენს საყვარელ ჟურნალსაც და ჩვენი ქვეყნასაც!

დოდო წიგნიძე

მზლბარიცე ნინო, ლა და კორეკ



ლა
კორეკ



ნინოს ნახულოვზე



ყო და არა იყო რა, სხვებთან და სხვებთან ერთად, იყო კიდევ ერთი კარგი და-ძმა: ნინო და დათა. ღამაში ნინო ზოგი ღამაში ვით სულ სარკეში კი არ იმზირებოდა, კერძების დამზადებაც იცოდა, თანაც ისეთი გემრიელის, კოვზსა და ჩანგალსაც კი ჩაატანდი. დათა კი მონადირეობაზე ოცნებობდა. იოცნება, იოცნება კიდევ მკაცრ, მაგრამ სამართლიან გოჩას. ეს გოჩა ძია დიდი თოფ-იარაღიანი ვინმე იყო, ისეთი ჩოხა-ახალუხი ამშვენებდა, ტყვია ვერ გაატანდა, რკინის ქაღალდები ეცვია, წვივებზე ტყვების პაჭიჭები ემოსა.

მოდ, მივიდა მკაცრ, მაგრამ სამართლიან გოჩა ძიასთან დათა და უთხრა:

- გოჩა ძიავ, ერთი რამ თოფი მინდაო.
- პაჭიჭებიანმა გოჩამ მკაცრად გამოხედა:
- რა გქვიან შენა, ჭერ ის მითხარ და, მერე და მინაბე, რა გინდა და რათაო.
- შე რა მქვიან და, დავით-დათაო, და თოფი მინდაო.
- ვეფო, საღამ-ქალაში არ იცი შენაო?
- თქვენ გაემარჯოთ, გოჩა ძიაო.
- ავრე იუოსო, - პაჭიჭ გოჩამა, - შენც გაემარჯო-

სო, ახლა კი, სთქვიო.

უთხრა დათამაც თავისი.

- მერედა, რამდენი წლისა ხარო.
- ორისა და ცოტაც მეტისაო.
- ცოტა ადრე ხო არ არიო, შენა და თოფიო.
- არა, არაო.

- კარგი, უტყუარ თოფს მოგცემ და ჩემს ვეზირებსაც გაგაყოლებ, ტყეში მარტოკამ რაიმე არ მოიფათერაკოო.


შეიარა შინ დათამა, დაიკოვე გამრჭვს ვისა ნახვება, სთხოვა:

- ასეა და ასე ჩემი საქმე, სანადიროდ მივდივარ, საგზალი გამიშვადეო.

დატრიადლა ნინო-ღამაში, აათუხთუხა ქოთანში ღობიო, ჩააჭვა ქინძი და ოხრახუში, თონეში პური გამოაცხო, ცხელ ღომში სულღუნი ჩაადნო, ხისა და მინდვრის სოკოები სუ შემწვარ-მოხრაკულად ააშიშხინა, ჩაულავა ყველაფერი ესა თავისსავით ღამაზე ვერა, მაგრამ კოხტა ქრელ ხურჩინში, ღვინო კი ვერ ანდო: ერთი ჩვენებური კაკი ერთხელაც ვითომც სანადიროდ წავიდა, მაგრამ ღვინომ წახსლია, დაითრო და ხევში ჩაგორდა. ძლივას წამოდგაო. ნანადირევით კი არა, თოფდაკარგული მოაბრძანეს შინაო.

- აბა ვინა თქვა, ღამაზები ჭკვიანები არ არიანო? გინდაც სამი წლისიანი იყუნენ, მაგრამ პაჭიჭებიან გოჩას

66297



ვაზირებმა, ჩვენ გაგვატანე ურძის მადლიო, თუ დავითერებით და დავგორდებით, პარაშუტებიც აკი გვაქვო.

სხვა რა ჩარა იყო - გაატანა ვაზირებს ქინძმარაულით სავსე თითო ტიკი ნინო-ლამაშმა.

მიდიან, მიდიან და მიადგენ ერთ ტყეს, ძან დაბურულიც არ ეთქმოდა, ბევრან გაეკაფნათ. ვეზირებმა, შავისვენოთო.

შაისვენეს, ცალეს და ცალეს მთელი ერთი ტიკი ქინძმარაული. მიწვნენ მერე, და ძილიცა ქნეს.

ამთვან ხეირი არ იქნებო, გაიფიქრა ყოჩაღ-და-თამა, აილო თავისი თოფ-საგზალი და შევიდა ტყეში.

მიდის და მიდის დათა, მაგრამ ნადირს კი არა, დიდ ხეებსაც იშვიათადლა ხედავს. გამოხტა უცებ ჩირგვიდან ერთი საწყალი კურდღელი, გადმოილო ელვასავით სწრაფმა დათამ თავისი ხირიშის თოფი, - იფის დანახვაზე კურდღელმა დიდი კანკალი ქნა.

კურდღელი შიშისაგან ხმას კი ვერა სძრავს, მაგრამ თვალებით ასე ეუბნება:

- აბა რა სამონადირო მე მნახეთ მთელი ჩვენი სოფლების კაცებმა, აგერ შემხედე, საფანტო ორთავ უური დაცხრილული შაქ, ქარი ერთ უური შო შედის, მეორეში გამოშდის, მე ნუ მამკლავ რა, დათა-ბიქო.

შეხედა დათა-ბიქმა, შეუთვალეირა საცერივით

უურები, კეთილი ბიჭია, შეეცოდა, დაუშვა თოფი.

- ხელცარიელა დაგზრუნდე შინაო? აკი, გამეჭრება; თავი, სუ მასხრად ამიგდებენ მეზობლები და ჩემი დიდშვილი ნიკაო.

შემართა ისევე თოფი.

კანკალებს ისევე ბევრსაფანტამოვლილი კურდღელი, ვერა ჰლამარაკობს, ეჭ, გაპირებმა რას არ აკადრებინებს ცხოველსა თუ ადამიანს — მაგრა გაქნია საითკენლაც საფანტით დამძიმებული უური კურდღელმა. მიუხვდა დათა, კურდღელმა რომ ვილაც თავისიანი, ტყორი, გაჰყიდა.

- დიდი თუაო?

- ოო, ოოო, - რაც კი შეეძლო, უურები განზე გადაშალა კურდღელმა, მიირბინა და მოირბინა ერთი ჭირკიდან მეორემდე, - აიი, ამსიდილოაო.

რა უნდა იუვეს ეგეთიო, გაიფიქრა დათამა, წარბის აწევით ანიშნა საწყალ კურდღელს, კარგი, წადი, იარე შენი გზითაო.

წადიო კი არა, ისე გაიქცა კურდღელი, ისე, უკანათაებს სუ უურებზე იბარტყუნებდა, გამოიყარა კიდევე ათ-ათი საფანტო.

იარა, იარა დათამა და, მიადგა ბოლოს იმ დიდსა და ღონიერსა - რა ყოფილა და, დათვი! გადმოულო ის თავის მრისხანე თოფი, მიამიზნა.

არ შეეხებია დათვსა, ამეტყველდა კიდეც, ზღა-





პარში კი არა, სინამდვილეშიც კი იციან დათვებმა ლაპარაკი, ოღონდ ლმობილითა. დაიბლუა:

- ბლიქოო, ბლიქოო, ღრა დაღვიშავეეო?

არც დათა შემკრთალა იმის ამეტყველებასედა:

- რა უნდა დაგეშავებინა, მონადირე ვაარ და აღ- გილზე უნდა გაგათაოო.

- აღდგილზე კლი არააა, ღრომელი დიდი აღ- დგილი შეე მააქ, ამმასაც აღღარ მმარჩენო?

ცოტათი შეეცოდა მართლა აბა რადგლიანი დათვი დათასა, ცოტათი დაუშვა თოფი, კეთილი ბი- ჭია და, რა ქნას.

რო არ დავიღლოთ, ღღ-ები და ზედმეტი რ და ნ- ები ამოვიღოთ დათვის სიტყვების მარაგიდანა, ვი- თომდაც ცქვიტად ლაპარაკობს:

- თქვენი არ მიკვირს? რა იყო შე კაი-კაცო, რას დამდევთ რო დამდევთ, ჩემ მეტი სატყვიო ვერაფერი ნახეთ-რაო? ვარ ჩემთვის ჩემ სახლში, ტყეში, შიმში- ლით კუჭი მიხმება, სახლი ხომ ღამის სულ გამოიკავეთ, სულ ამოიღდა დავეძებ ზღმარტლას და მუჟალოს, და თანაც კიდ უნდა მამკლათო?

სულ ჩამოუშვა დათა-ბიჭმა თოფი, შეეცოდა დათვი.

- შენაო რა გქვინაო, - დათვმა.

- მეო, დათაო.

-არა, გენაცვალე, სეხნიები კი ვყოფილვართ, მაგ-

რამ დათა ეს მე შქვიან, შენა კი, ჭერ დათუნია ხაარო.

- დათო, გაგიმარჯოს, - უთხრა მაინც ძველსახე- ლიანმა დათა-ბიჭმა, აკი დაიხსხსოვრა შკაცრ, მაგრამ სამართლიან ძია პაქიგოოჩასაგან თავაზიანი სიტყვა-პა- სუხი.

- შენც გაგიმარჯოსო, - დათვმა, მაგრამ ცქერით კი ხურჩინს უყურებს.

გამგებინა ბიჭია დათა, მიუხედა:

- რაა, გშიაო?

- მშინ და, ეგრეო?

გადლო დათა-ბიჭმა თოფი, იმის მაგივრად ხურჩი- ნი მოიმარჯვა, ამოალაგა და ამოალაგა იქიდან ნინო- ლამაზის ნახელავი სოკო, ლობიო, ლომ-სულგუნი, კაი შოთი პურები, შეექცა და შეექცა დათვი ისე, დრუნჩს ძაან აწკლამუნებს, რა ქნას, ტყეშია გაზრდი- ლი.

- ესეთი გემრიელი რამეები ჩემ დღეში არ მიგემ- ნია, ვინ მადლიანმა დაამზადაო?

- ესაო ჩემმა დაკო ღამაზმა ნინომ დაამზადა, რო იტყვიან, ოქროს ხელი აქვსო.

- დიდი მადლობა ვადეცი, დიდიო, მაგრამ, ეჰ, - ეშხში შევიდა დათვი,

- ეჰ, ნეტა ერთი ჭილა თაფლიც გამოეგზავნა, ბე- ლობის შემდეგ აღარ მიგემნაო.

შეწულდა კეთილი დათა, გაახსენდა უცებ:



- ღვინო კი გვექონდა ორი ტიპი, მაგრამ ერთი ვე-
ზირებმა უკვე დაცალეს და ერთიც უნდა დარჩენო-
დათ, წავალ, მოვიტან, დაყოლეო.

- აჰ, არა, არაო, - ისე იუარა დათვმა, თათიც გა-
სავსავა, - აბა ღვინო მე რათ მინდა, თქვენა, ადამიანები,
ჩვენზე ჰკვიანები კი ხართ, მაგრამ ღვინოში სცდები-
თო. ამას წინებზე ერთი თქვენებური ამოვიდა, ვი-
თომც ჩემს მოსანადირებლად, მაგრამ გზაში ისე დას-
თვრა, ვარაუდითლა დადიოდა და ხევში ჩაგორდა. აბა
ღვინო მე რათ მინდა, ამ ტყეში და ღრეში.

დაღონდა შერე დათა-ბიჭი, უქმ თოფს დახედა, -
ტყუილად მინდოდაო?

- ტყუილად რად გინდოდა, აიხედე აბა მალაო.

აიხედა დათა-ბიჭმა და, რასა ხედავს, მისდევს ერთ
საწყალ მტრედს დასაძიძუნ. შესაქმელად ვერაგი ქო-
რი, გადმოიღო თოფი მარჯვე მონადირემ, აკ. ტყეა
ქორსა და სუ ტრიად-ბზრალით ჩამოავდო დაბლა.

- ბარაქალა შენს მტკიცე მარჯვენასაო, - დათვმა.

შერე მოუბოდიშა: - სუ მე რო შევნთქე უველა-
ფერი, შენ რაღას იზამო.

- ეგ არაფერი, ნინო ისეთი მარჯვეა, ამასობაში
სულ შემწვარ-მოხრაკულებს დამიშხადებდაო.

წამოვიდა დათა-ბიჭი, მიადგა ვეზირების საძინე-
ბელ ადგილს, რასა ხედავს და, აღარ არიან. გამოუც-
ლიათ ის მეორე ტიპიც, წაბანცალეებულან და ხევში

დაგორებულან. ის ღვინით სველი პარაშუტებიც ვე-
ლარ გაუშლიათ, პარაშუტებიანა წვანან ხევს ფსკერ-
ზე, მკვნიან.

ჩაირბინა ხევი ყოჩაღმა დათა-ბიჭმა, ამოიღო ერთი
ერთ ილღიაში, მეორე - მეორეში; ნანადირევით არა,
მაგრამ თითო ვეზირით თითო ილღიაში დაბრუნდა
თავის ქალაქშია.

დაახვედრა კერძების გამოჩენილმა დიდმა ოს-
ტატმა ლამაზმა ნინომ სულო და გულო, რაც გინდა.

ჰოდა, არიან და არიან მას მერეც, ისე კარგად და
ტკბილად არიან...

ჰო, მართლა, ეს დიდი თოფი პატრონს ჩააბრა
დათამ - სანამ დიდი გავიზრდები და ბორცოტ ფრინვე-
ლებსა თუ ცხოველებზე ვინადირებო. და, ჰო, მარ-
თლა, იმ ვეზირებს, სამართლიანმა, მაგრამ მკაცრმა პა-
ჭიკებიანმა გოჩამ უკანასკნელი გაფრთხილება მისცა
შავით თეთრზე პირად საქმეში შეტანით.

**ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,
მკაცრ-საყველურებიანი ვეზირები იქა,
ნინო-ღამაზი და ყონალ-დათა აქა,
მკაცრი, მაგრამ სამართლიანი
პაჭიკგონა კი - შუაში,
მას!**



ღიზი



მე მარიამ-ქალი მქვია,
ჩემს დიას მქვია ლიზა,
აკვანში რომ გაიღვიძებს,
სიცილია უვაილისა,
მაგრამ დღეს რომ შემოსუდა,
სულ სატირლად აიძრისა.
მე ნამცხვარი რაკი მიუვარს,
ფქვილს დავასხი წყალი ცოტა,
არც შაქარი დამაუიწედა,
არც მარილი და არც სოდა
და ნამცხვარი გამოვუცსე,
ლიზას თურმე რძე უნდოდა.

კვირი



მონდა დიდი ბურობა!
ნმა გავარდა, როგორც მუხი.
დამნაშავე თამარია, -
დააბიჯა გვირბის ფეხი.

ბავშვთა ლოქი

ტარიელ ჟანტურია




ჩემი ბებო - ბასტი-ბებო!
 ჩემი ბაბუ - ბასტი-ბაბუ!
 ერთად ვნახეთ იმ საღამოს
 დიდებული ბასტი-ბუბუ!
 ბასტი-ბებო!
 ბასტი-ბაბუ!
 ბასტი-ბუბუ!
 ბასტი-ბუბუ!



ჯიჯუა

- გამარჯობა, ტარიკო!
 - დილა მშვიდობისა!
 - რა მოგართვათ საუსმედ?
 - რა თქმა უნდა, ჰიცა!
 ოღონდ ახლაც, ამ დღით
 მუჭამეთო ჰიცა, —
 ლექსს ვიტყვიო — ტარიკომ
 დედა დაიუიცა!



ყაყაძა

ისე უეუარს ბიძინას
ეურძას კუდის ქიციანი:
- როცა კუდს მიქიცინებს,
ესე იჯი - მიცინის!



ხეხე შვიდიშვილს ახიკებს

დილაა და - «ტომი, ჯერი»,
ღამეა და - «ტომი, ჯერი»,
წივნი, წივნი, ჩემო კარგო!
კამიკონე!
ღამიჯურე!

F 6209

- ძაღლის რომ შეშინია,
ბუნებრივი შიშია:
მგლეებს და ძაღლებს, იცი შენ,
როგორ უეუარო ჩიჩია!

- მაგრამ ძაღლი ხომ არის,
სულ რომ არ ჭამს ჩიჩიას?
- როგორ მივხვდე სირბილში,
ვინ რომელი ჯიშია?!

ყაყაძის ძაღლოები

ძაღლოები





დაიჭსჭსესებს ტუეებში შაში,
ირიბთვალემა შუკრთება შუელი,
ათასფრად ელავს კალმასი წუელში
- ეს ხამშობლოა ჩემი და შენი!

სამაია

სამმა ვოვომ,
სამმა იამ,
დეურა სამაია.

აი, ნეკეა ამას ჰქვია!
უკულა, უკულა კადარია,



კურ ნახადით ვულვრის
ხალსში,
ვაბა თქვეს და დასცეს
ტაში!



მეპატრონე და მემარნე

მეპატრონე თავის მარანში ღვინის სანახავად შევიდა და ქვევართან ჯამი დაინახა. ჰკითხა მემარნეს:

- რად დგას ეს ჯამი აქ?

მემარნემ უპასუხა: რამდენჯერაც შემოვალ, ამ ჯამით ღვინოს შევსვამო.


მეპატრონეს ეწყინა და თქვა: ამ კაცს ჩემი ღვინო აუონრებიანო.

მან მემარნეს სხვა კაცი დაუყენა: ღვინოს ნუ ასმევო.

როდესაც მეპატრონე მეორედ შევიდა მარანში, ქვევართან მდგარი ორი ჯამი დაინახა. გაუკვირდა და მემარნეს ჰკითხა: ეს რას უნდა ნიშნავდესო.

მემარნემ მიუგო: ერთი ჯამი

ჩემია, ხოლო მეორე ჩემი ამხანაგის, შენ რომ დამიყენეო.



მხატვარი სურხიან მაისაშვილი


ინკლასური საკანკინო პოეზიონ



რობინ-ბობინ ჭამტომარა
გასიუდება, რატომ არა!

ჯერ შეჭამა მთელი ღორი,
შედაც ჰური ცხრა გოდორი,
მერე კიდევ მთელი ხარი,
შედაც უსაბნახევარი.
არ ეო და წკირა-წკირა
სახლის ბანი გადატკეირა,





ერთი ბანი, ორი ბანი,
გადაჭამა ცხრა უბანი.
ცხრა საუდარიც მიაკუნთა
თაფის სუცეს-დიაკუნითა.
ძთელი ღორი!
ძთელი ხარი!
ცხრა კოდორი!
ცხრა საუდარი!
წკირი წკირსა, ჭირი ჭირსა,
კაძლომა კი არ ეღირსა!




- კატავ, კატავ, ხატავთავ,
სად იეავ და სად არაო?
- დედოფალმა წამიევენა,
სასახლეში მატარაო.
- თქვი, რა ხანე სასახლეში?
- თავვი ვხანე მატარაო.




გუგუნი
საქმანსი
პოპილიან



ზარი თუ არ დარეკს,
ბავშვი თუ არ გაიცინებს,
ვის რა გაგვასარებს.
გაიცინე, ილზე, თორემ,
გაგსვამ სელადაო,
ბაღში დავსვამ ჩიტუნების
საფრთხოებელადაო.



ბრანობს ჩეენი ილზე-ბილზე,
არ კი იცის - რასე.
წადი, ბრანო, წადი, ბრანო,
ცუგო გაბრანზე.
ჩიტი თუ არ ივალბებს,





ძროხას კუდი დაჭკარკვოდა
როდინობას ამ თვისაო,
ბაწრის კუდი მიაკურეს,
იქნეს როგორც ნამდვილსაო.

გადაჭრულდა ციცქნა ბალი
უვაილებით ჭრელა-ჭრელით.
ვისაც ილზეს შერთვა გინდათ,
კიდევ ბევრი მოცდა გელით.



თუ გინდათ მოხედეთ ზღაპ-
რულ სამყაროში, ნამდვილ ოა-
ზისში, ესტუმრეთ ბავშვთა ხე-
ლოვნების გალერეას, სადაც
ზშირად იმართება ბავშვთა ნა-
მუშევრების გამოფენა. უკვე 30
წელია, რაც ამ გალერეაში თავს
უყრიან ყველაზე მშვენიერ სუ-
რათებს. ეს არის ბავშვების
თვალით დანახული სამყაროს
ზეიმი.

ბავშვთა ხელოვნების გალე-
რეა არის ჯადოსნური სახლი,
განსაკუთრებით მოზარდები-
სათვის.

მობრძან-
დით გალე-
რეაში,
თქვენ აქ გე-
ლოდებათ
საუცხოო
სამყარო, თქვენი თანატოლების
მიერ შექმნილი.



ჩვენი ჟურნალის პირველსა
და ბოლო გვერდებზე სწორედ
ამ გალერეის ექსპონატები და-
ბეჭდვით თქვენთვის, ეს სურა-
თები 9 წლის ნათელა ყურაშ-
ვილმა და 6 წლის მანანა ჯანიაშ-
ვილმა დაბატეს.



ზუკრილის წმინდა კოორჯის წასვლაზე



როტ ღაკათ-
ხეველ კაცს,
გვარად ქა-
რნაიძეს, ტყეში
ხე უჭრია სახ-
ლის ასაშე-
ნებლად. რამ-
დენ ნაფორტხაც
არ ჩამოჭრის

ხეს, იმდენჯერ მოფრინდება
მტრედი, დასცემს ნის-
კარტს და წაიღებს: დაფიქ-
რდა ეს კაცი, სად მიაქვს ეს
ნაფორტი მტრედსაო. ადგა,
როცა მოჭრა ხე, და გაჰყვა
ამ მტრედს. გაფრინდება
მტრედი, დაჯდება, გაფრინ-
დება, დაჯდება. მიფრინავს
მტრედი და მიჰყვება კაცობ-
ბოლოს, ერთი სოფლის, დუ-
მაცხოს მალდა, უდრან ტყე-
ში შევიდა მტრედი და, ხე-
დავს კაცი, მტრედს ნაფო-
რტი უწყვია ერთმანეთზე
და პატარა ეკლესია აუშენე-
ბია საბუდრად. ამ ადგილს
ზეგარდი ეწოდება.

წავიდა ეს კაცი და გააგე-
ბინა სოფელს ეს ამბავი.
სოფელში აფციაურები სახ-
ლებულან. წამოვიდნენ აფ-
ციაურები, ნახეს და მიხ-
ვდნენ, ალბათ სალოცავის
აშენებას გეფიხვსო, აქ ეკ-
ლესია უნდა ავაშენოთო. ეს
ქარნაიძე, ხელოსანი იყო
და ისევ ქარნაიძეს ააშენე-
ბინეს ეკლესია.

როცა დაასრულა ეკლე-
სიის შენება, ჰკითხეს აფ-



ციაურებმა, რა მოგცეთ,
რითი გაგისწორდეთო?
ცხვარი გინდა, ცხვარს
მოგცემთო; ფული გინდა,
ფულს მოგცემთო; რასაც
მოგვთხოვ, მოგცემთო.

წასულა ქარნაიძე თა-
ვის სოფელში - ღა-
კათხევეს, ძმებს დავე-
კითხებითო. მისულა. ცხრა
ძმანი ყოფილან ქარნაიძე-
ბი, დაცოლშეილებულნი.
უთხრა: ძმებო, ამას და
ამას მაძიებენ ეკლესიის
აშენებაში, რა გამოვარ-
თვა - ძროხა, ცხვარი თუ
ფულიო? ზოგს ძროხა უთ-
ქვამს, ზოგს - ცხვარი,
ზოგსაც - ფული. პატარბა-
ლი ჰყოლიათ ერთი, უმ-
ცროსი ძმის ცოლი, სამი
ღღის მოყვანილი, და მოდი,
პატარბაღსაც შევეკითხო-
თო, რას გვირჩევსო, უთ-
ქვამთ ძმებს. შეჰკითხვიან.
მე თუ მკითხავთო, უთქვამს
პატარბაღს, არც ძროხა
გინდათ, არც ცხვარი, არც
ფული, ყველაფრით ხავეს

ხართო. ფულიც გაიფლის,
და სიმდიდრეც, ეკლესიის
წყალობა კი დარჩებაო. რო-
ცა დღესასწაული მოვა,
პირველად თქვენი შესაწი-
რავი აკურთხოს მღვდელ-
მამო, თუ იქ იქნებითო. „წყა-
ლობდეს ქარნაიძეებს! გამ-
რავლდნენ ქარნაიძეები!
წყალობდეს!“ არაფერი
გინდათ ამის მეტიო.

და დღემდე, როცა ზე-
გარდის წმ.გიორგის დღე-
სასწაული დგება დუ-
მაცხოში, თუ ქარნაიძეები
არიან ამოსულნი, მათი შე-
საწირავი უნდა იკურთხოს
პირველად. „ქარნაიძე თუ
ვინმე არის, მოვიდეს! სწყა-
ლობდეს ეკლესიის ამშენე-
ბელსო!“ დაიძახებს დეკა-
ნოზი. და თუ იქ არავინ
არის ქარნაიძეთაგანი, მა-
ინც დალოცავს მათ დაუს-
წრებლად.



სოფელ დუმაცხოში
ნაიფარა ზურაბ კინაძის



ათი თითი არის თვით ბუნების მიერ შექმნილი გამომთვლელი მანქანა. თურმე, ამავე „ხელსაწყოთი“ შეიძლება რიცხვების გამრავლებაც. ვნახოთ, თუ როგორ შეიძლება გადავამრავლოთ რიცხვები 6-დან 10-მდე ჩათვლით.

ხელის თითები ასე დავნომროთ: ნეკი - 6, არათითი - 7, შუათითი - 8, საჩვენებელი თითი - 9, ცერი - 10. ვთქვათ, უნდა ვიპოვოთ შეიძისა და ცხრის ნამრავლი. ამისათვის ერთ ხელზე მოკეცოთ თითები 6,7, ხოლო მეორეზე - 6,7,8,9. ორივე ხელზე მოკეცილი თითების რაოდენობა $/ 2 + 4 = 6 /$ გვიჩვენებს ათეულების რაოდენობას, რომელსაც უნდა დაემატოს გაშლილი თითების რაოდენობათა ნამრავლი $/ 3 \times 1 = 3 /$. საბოლოოდ მივიღებთ:

$$7 \times 9 = 60 + 3 = 63.$$

სავარჯიშო. ხელის თითების მეშვეობით გამოიანგარიშეთ, რას უდრის

- | | | |
|-------|-------|--------|
| 7 X 6 | 8 X 6 | 9 X 6 |
| 7 X 7 | 8 X 8 | 9 X 7 |
| 7 X 8 | 8 X 9 | 9 X 9. |



ჟურნალ „დილის“ რედაქცია გულითად მადლობას სწირავს ბატონ **მურაღ წივწივაძეს**, რომელმაც ნომრის გამოსაცემი ხარჯები გაიღო, და ბატონ **თენგიზ შირვაშვილს**, რომელმაც ჟურნალი მხატვრულად გააფორმა.

შთავარი რედაქტორი **ლემო წივწივაძე**

სარედაქციო საბჭო: **ლევან ბაბუხაძე, ციციანო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, მარგა კვაპანტირაძე, შერვაშინ ქალღანი, თენგიზ ჩალაური**

ჟურნალი აიწყო და დეკაბერიდან გამომცემლობა „საშობლოს“ ფოტოწყობის უზნის კომპიუტერულ ცენტრში დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საშობლოს“ სტამბაში

ქალაქის ზომა **60x90 1 / 8** ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5.

შეკვეთა № 1258

ფასი სახელშეკრულებო

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14.

ტ.: 93-41-30; 93-10-32.